

ინფორმაცია

ცაგერის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის გია გოგებაშვილის ანგარიში 2019 წლის გაწეული მუშაობის შესახებ

2019 წლის მიმდინარეობაში ორბელის თემი მრავალი პრობლემის წინაშე დადგა. არამარტო თემის წარმომადგენელი და დეპუტატი არამედ მოსახლეობასთან შეხვედრებზე ჩართული იყო, როგორც მაჟორიტარი, ასევე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება. დეპუტატთან ერთად შეხვედრებს ესწრებოდა საკრებულოს აპარატი. შეხვედრებზე მოსახლეობის ძირითადი პრობლემები იყო სოფლის შიდა გზები და სასმელი წყლის მოგვარება, რომელიც მრავალწლიანი პრობლემაა. პრობლემურია თემის საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზაც. აგრეთვე მოსახლეობა ითხოვდა ტყეში შემავალი გზის მოწესრიგებას საშემე მერქნის მოსაგროვებლად. ეს პრობლემა ჩვენს მიერ იქნა შესწავლილი და პრობლემის მოსაგვარებლად ჩართული იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი გუგავა და მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ავთანდილ უგრეხელიძე, ერთობლივი ძალისხმევითაც ეს პრობლემა მოგვარდა.

რა თქმა უნდა მინდა შევეხო პრობლემას და მოგახსენოთ, რომელიც არამარტო ჩემს თემში, არამედ მუნიციპალიტეტსაც უდგას ზოგადად, რომელიცაა სოციალური და ერთჯერადი მატერიალური დახმარება.რამოდენიმე სოფელში, მაგალითად სოფ. კურცობში უკიდურესად გაჭირვებულ ორ ოჯახს გაუჩერდა დახმარება, რომლებმაც მომართეს თხოვნით, რომ გარკვეულიყვნენ თუ რის საფუძველზე შეუჩესეს საარსებო წყარო რათქმაუნდა აქტიურად ჩავერთე ამ პრობლემის მოგვარებაში, მივმართე სოციალური სამსახურის უფროსს წერილობით და მოვითხოვე ინფორმაცია, თუ რის საფუძველზე მოხდა ამ მოსახლეობის დახმარების შეჩერება, გაირკვა რომ

1. რედაქციული პრობლემა იყო წარმოქმნილი ამ ოჯახების საბუთებში, რომლებსაც შეუჩერეს დახმარება და მალევე მოგვარდა ეს პრობლემა, რისთვისაც მოსახლეობამ დიდი მადლიერების გრძნობა გამოხატა(რაც შეეხება ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას 2019 წელს დაკმაყოფილდა 227 განცხადება

რაც უმთავრესია და ყოველთვის ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ტკივილი არის რთველი და თავიანთი ნაშრომის რეალიზაცია, რთველთან დაკავშირებით ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და ასევე საკრებულომ დროულად დაიცო თადარიგი რომ რთველის მიმდინარეობას ხელი არ შეშლოდა, რათქმა უნდა აქტიურად

აწარმოებდნენ კონსულტაციებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ასევე კერძო კომპანიებთან, რამაც კარგი შედეგი გამოიღო . რთველი მშვიდ და წყნარ გარემოში ჩატარდა , რისთვისაც ორბელის თემის მოსახლეობა მადლობას უხდის სოფლის მაჟორიტარს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

ჩემი ინიციატივით და მერის მხარდაჭერით დასრულდა ლაჯანის სასმელი წყლის რეაბილიტაცია . მომავალშიც მუდმივად მოვახდენ თემში არსებული პრობლემების წინა პლანზე წამოწევას და მოსახლების ინტერესების გათვალისწინებას.